პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ძმობის II ქუჩისთვის ძმობის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ძმობის II ქუჩას მიენიჭოს ძმობის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


წალენჯიხის ქუჩა
ნიკეა ინანიძეების ქუჩა
ნიკეა ინანიძეების ქუჩა
ნიკეა ინანიძეების ქუჩა
ნიკეა ინანიძეების ქუჩა
II ამბოხების ქუჩა
II ამბოხების ქუჩა
II ამბოხების ქუჩა
II ამბოხების ქუჩა
II ამბოხების ბიბი
II ამბოხების ბიბი
ოთარ ლეონიძის ქუჩა
ოთარ ლეონიძის ქუჩა
ოთარ ლეონიძის ქუჩა
ოთარ ლეონიძის ქუჩა
ოთარ ლეონიძის ქუჩა
ბურაბერ ასათიანის ქუჩა
ბურაბერ ასათიანის ქუჩა
ბურაბერ ასათიანის ქუჩა
ბურაბერ ასათიანის ქუჩა
ბურაბერ ასათიანის I შესახვევი
ბურაბერ ასათიანის I შესახვევი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-03243119**
თარიღი: **06/11/2024**

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა 04-03242157-03 წერილი, ნაძალადევის რაიონში ძმობის II ქუჩის სისტემური ნუმერაციის თაობაზე.

საკითხის შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ ნუმერაცია განხორციელდა მუნიციპალიტეტის მერიისთვის მოქალაქეთა მიმართვის და შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლებმა განახორციელეს არსებული გზათა ქსელის დამუშავება, მოხდა ტერიტორიის ადგილზე შესწავლა და ქუჩაზე მაცხოვრებლებთან შეხვედრა.

როგორც დადგინდა, ძმობის I და ძმობის II ქუჩები მდებარეობდა ერთმანეთის მიმდებარედ, 1995 წელს ძმობის I ქუჩას ეწოდა რევაზ ინანიშვილის სახელი. ხსენებული პერიდიდან ძმობის მეორე ქუჩის რომაულმა აღნიშვნამ "II" დაკარგა პრაქტიკული მნიშვნელობა. მოქალაქეებთან კონსულტაციისას დადგინდა, რომ პრაქტიკაში ისინი ქუჩას ძმობის სახელით მოიხსენიებენ და საჭიროდ მიაჩნიათ მისთვის რომაული აღმნიშვნელის ჩამოშორება.

გარდა ხსენებულისა, ტერიტორიის დამუშავების დროს დადგინდა, რომ ძმობის II ქუჩასთან არსებობს II ძმობის ჩიხის სახელწოდების მქონე გეოგრაფიული ობიექტი, ხსენებული ობიექტი არ წარმოადგენს ჩიხს, მისი საშუალებით ძმობის მეორე ქუჩა უკავშირდება გურამ ასათიანის I შესახვევს, გურამ ასათიანის I შესახვევი კი მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან II ძმობის ჩიხამდე. ვინაიდან გურამ ასათიანის ქუჩა პერპენდიკულარულად კვეთს I შესახვევს და ამ უკანასკნელს პრაქტიკულად არ აქვს ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ იმსჯელოს გურამ ასათიანის I შესახვევის და II ძმობის ჩიხის ერთ გეოგრაფიულ ობიექტად (ქუჩად) ჩამოყალიბების და მისთვის დამოუკიდებელი სახელის მინიჭების თაობაზე.

ხსენებულის გათვალისწინებით გთხოვთ, უზრუნველყოთ წინამდებარე საკითხების აღსრულებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)